ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 11 989,8 ათ. ლარი. ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 874,1 ათ. ლარს, რაც გაიწერა სრულად და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის III კვარტლის გეგმამ შეადგინა 12 863,8 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2020 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 11 989,8 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 8 208,8 ათ. ლარი (68%); - აქედან ქონების გადასახადის გეგმა 145,5 ათ. ლარი - ფაქტი - 250,5 ათ. ლარი(172%); დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 3 132,7 ათ. ლარი - ფაქტი 2 951,7 ათ. ლარი (94%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 8 567,2 ათ. ლარი - ფაქტი 4 816,8 ათ. ლარი (56%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 29,6 ათ. ლარი - ფაქტი 34,7 ათ. ლარი (117%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 39,0 ათ. ლარი - ფაქტი 77,0 ათ. ლარი (197%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოვიდა 8,9 ათ. ლარი; სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 4,0 ათ. ლარს ფაქტი 13,4 ათ. ლარი (335%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 7,6 ათ. ლარი - ფაქტი 3,6 ათ. ლარი (47%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 30,1 ათ. ლარი - ფაქტი 25,8 ათ. ლარი (86%); შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 19,0 ათ. ლარი - ფაქტი 9,3 ათ. ლარი (49%); არაფინანსური აქტივების კლება (პრივატიზება) გეგმა 15,0 ათ. ლარი შემოვიდა 16,9 ათ. ლარი (113%; დანართი N2).

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 12 863,8 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 8 415,5 ათ. ლარი (65%) აქედან:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯის გეგმამ შეადგინა 1 480,0 ათ. ლარი - ფაქტი 1 349,3 ათ. ლარი (91%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 334,2 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 327,7 ათ. ლარი (98%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 1 072,1 ათ. ლარი - ფაქტი 969,2 ათ. ლარი (90%); სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 51,7 ათ. ლარი - ფაქტი 47,0 ათ. ლარი (91%); სარეზერვო ფონდის გეგმა შეადგენს 16,6 ათ. ლარს; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,5 ათ. ლარი - ფაქტი 5,5 ათ. ლარი (100%).

ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა 9 749,1 ათ. ლარი - ფაქტი 5 748,1 ათ. ლარი (59%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 2 990,2 ათ. ლარი - ფაქტი 1 479,3 ათ. ლარი (49%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 224,2 ათ. ლარი - ფაქტი 191,2 ათ. ლარი (85%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 1 304,7 ათ. ლარი - ფაქტი 750,8 ათ. ლარი (57%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 35,0 ათ. ლარი - ფაქტი 30,8 ათ. ლარი (88%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 129,0 ათ. ლარი - ფაქტი 100,4 ათ. ლარი (78%);
- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 22,2 ათ. ლარი - ფაქტი 21,6 ათ. ლარი (97%);
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 8,5 ათ. ლარი - ფაქტი 8,5 ათ. ლარი (100%);
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 369,1 ათ. ლარი - ფაქტი 333,3 ათ. ლარი (90%);
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია გეგმა 2 001,9 ათ. ლარი - ფაქტი 1 165,6 ათ. ლარი (58%);
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 321,5 ათ. ლარი - ფაქტი 237,3 ათ. ლარი (74%);
- სოფლის პროგრამის მხარდაჭერა გეგმა 737,7 ათ. ლარი - ფაქტი 700,7 ათ. ლარი (95%);
- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გეგმა 1 575,2 ათ. ლარი - ფაქტი 704,3 ათ. ლარი (45%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება გეგმა 30,0 ათ. ლარი - ფაქტი 24,4 ათ. ლარი (81%);

დასუფთავება და გარემოს დაცა გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 312,5 ათ. ლარს, ფაქტი 311,5 ათ. ლარი (100%). აქედან: დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 263,0 ათ. ლარი - ფაქტი 263,0 ათ. ლარი (100%);

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება გეგმა 39,5 ათ. ლარი, ფაქტი 38,5 ათ. ლარი (97%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტი 10,0 ათ. ლარი (100%);

განათლება: სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 188,2 ათ. ლარი - ფაქტი 156,4 ათ. ლარი (83%);

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა 404,2 ათ. ლარი - ფაქტი 268,3 ათ. ლარი (66%);

- საჯარო სკოლების ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 78,6 ათ. ლარი - ფაქტი 32,6 ათ. ლარი (41%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 430,0 ათ. ლარი - ფაქტი 376,0 ათ. ლარი (87%). აქედან:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობის გეგმა 102,0 ათ. ლარი - ფაქტი 76,5 ათ. ლარი (75%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 26,4 ათ. ლარი - ფაქტი 26,3 ათ. ლარი (100%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 28,5 ათ. ლარი - ფაქტი 26,8 ათ. ლარი (94%);

- კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 79,6 ათ. ლარი - ფაქტი 72,3 ათ. ლარი (91%);

- მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები გეგმა 41,6 ათ. ლარი - ფაქტი 35,2 ათ. ლარი (85%);

ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 49,9 ათ. ლარი - ფაქტი 44,5 ათ. ლარი (89%);

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 25,4 ათ. ლარი - ფაქტი 21,7 ათ. ლარი (85%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 10,9 ათ. ლარი - ფაქტი 10,6 ათ. ლარი (97%);

- რელიგიის ხელშეწყობა 40,0 ათ. ლარი - ფაქტი 37,4 ათ. ლარი (94%);

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გეგმა 25,7 ათ. ლარი - ფაქტი 24,8 ათ. ლარი (96%).

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 221,2 ათ. ლარი - ფაქტი 173,3 ათ. ლარი (78%). აქედან: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 32,5 ათ. ლარი - ფაქტი 25,6 ათ. ლარი (79%);

- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 188,7 ათ.ლარი ფაქტი 147,7 ათ.ლარი (78%) (დანართი N3, N4).

ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი გაიხარჯა **წინა წლებში აღებული ვალდებულებებიდან,** საქართველოს მთავრობის განკარგულება N1326 10.06.2019წ. არტუანის უბანში (ნინო ჯაფარიძის სახლიდან ებრაელთა სასაფლაომდე, გოგი ჯაფარიძის სახლის თავიდან ბოლთის ფერდობებამდე) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია 5,0 ათ. ლარი და ქ. ონში ვახტანგ VI (მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია 0,1 ათ. ლარი. საქართველოს მთავრობის განკარგულება N2577 31.12.2018წ. სოფელ ბარი-მრავალმლის მისასვლელი გზის ასფალტირება (III ეტაპი) 24,4 ათ.ლარი. საქართველოს მთავრობის განკარგულება N1213 15.06.2017წ. სოფელ ნაკიეთში მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. შარდომეთში მარცხენა სანაპიროზე და სოფ. უწერაში მინერალურ წყალ ნაპერწკალასთან გაბიონის მოწყობის სამუშაოებზე გაიცა 4,8 ათ. ლარი. საქართველოს მთავრობის N13 18.01.2019წ. განკარგულებით ონის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის გახარჯული იქნა 13,1 ათ. ლარი; სოფელ ღებში საჯარო სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოებზე 30,7 ათ. ლარი; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქ. მთავრობის განკარგულება N405 15.02.2018წ. სოფელ ღარის შიდა გზების ასფალტირება 16,3 ათ. ლარი; საქ. მთავრობის განკარგულება N955 03.05.2018წ. სოფ. ირში მდინარე ჯეჯორაზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია 4,9 ათ. ლარი.

საკუთარი თანხებით შესრულებული იქნა **წინა წლებში აღებული ვალდებულებებიდან** სოფ. ირში მდ. ჯეჯორზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაციის წილობრივი დაფინანსება 0,3 ათ. ლარი; სოფელ ბარი მრავალმლის გზის ასფალტირება 14,7 ათ. ლარი წილობრივი მონაწილეობა, არტუანის უბანში (ნინო ჯაფარიძის სახლიდან ებრაელთა სასაფლაომდე, გოგი ჯაფარიძის სახლის თავიდან ბოლთის ფერდობებამდე) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი მონაწილეობა 0,4 ათ. ლარი და ქ. ონში ვახტანგ VI (მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი მონაწილეობა 4,7 ათ. ლარი და ქ. ონში დ. აღმაშენებლის ქ.N40 არსებული შენობის სარემონტო სამუშაოზე გაიხარჯა 6,7 ათ. ლარი.

2020 წელს **ცენტრალური ბიუჯეტიდან** საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის განკარგულება N2630 18.12.2019წ. გახარჯული იქნა შესაბამის პერიოდში 2 843,8 ათ. ლარი: კერძოდ, ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა (II ეტაპი) 1 107,3 ათ. ლარი, ქ. ონში არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია (II ეტაპი) 133,2 ათ. ლარი, სოფელ გლოლაში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი დაფინანსება 131,3 ათ. ლარი, სოფელ უწერაში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი დაფინანსება 218,7 ათ. ლარი, სოფელ პიპილეთში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი დაფინანსება 161,1 ათ. ლარი, სოფელ სორის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია 89,9 ათ. ლარი, სოფელ ქვემო ბარში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია 65,9 ათ. ლარი და სოფელ ბარი-მრავალმალის (ეკლესიამდე მისასვლელი) გზის ასფალტირება (VI ეტაპი) 936,4 ათ. ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქ. მთავრობის განკარგულება N2752 31.12.2019წ. გაიხარჯა 606,0 ათ. ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის საქ. მთავრობის განკარგულება N325 20.02.2020წ. გაიხარჯა 730,5 ათ. ლარი: კერძოდ, სოფელ ლაგვანთაში მდინარე საკაურაზე დამცავი ლოდნარის მოწყობა და კალაპოტის ფორმირება გაიხარჯა 74,5 ათ. ლარი; სოფელ ხირხონისში შიდა საუბნო გზის გაფართოება რეაბილიტაცია, ლითონის გადამღვრელების მოწყობა, საყრდენი კედლის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხის მოწყობა 55,0 ათ. ლარი; სოფელ ჯინჭვისში მდინარე რიონზე ნაპირსამაგრის მოწყობის მდინარე გომბრულაზე კალაპოტის ფორმირების და ნაპირამაგრის მოწყობის სამუშაოები 234,0 ათ. ლარი; სოფელ გლოლაში დაზიანებული გზის სავალი ნაწილისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია 47,7 ათ. ლარი; სოფელ ღებში მდ. ჯოჯოშურის კალაპოტის წმენდა-ფორმირება, დაზიანებული გზის, ნაპირსამაგრის აღდგენა-რეაბილიტაცია და მდ. რიონზე საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოებზე 300,6 ათ. ლარი და სოფ. ხირხონისში ქვედა უბანის გზისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოებზე გაიხარჯა 18,7 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N386 27.02.2020წ. სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ სორის სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაობზე გაიხარჯა 50,7 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N385 27.02.2020წ. ქ. ონში არსებული სპორტული კომპლექსის ექსპლოატაციისათვის საჭირო დამატებითი სამუშაოებზე გაიხარჯა 69,8 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N2059 26.09.2019წ. გაიხარჯა სოფელ საკაოში არსებული წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციაზე 3,6 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N27 09.01.2020წ. მოსწავლეების ტრანსპორტირებზე გაიხარჯა 19,5 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N27 09.01.2020წ. სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოებზე სოფელ ჭიორის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 36,5 ათ. ლარი და სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 193,1 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N2682 23.12.2019წ. ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით გაიცა 54,8 ათ.ლარი.

მიმდინარე წელს **საკუთარი თანხები** გაიხარჯა ქ. ონში არსებული საბავშო ბაღის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა 11,5 ათ. ლარი; ქ. ონში ბეერ-შევას სახელობის დასასვენებელი პარკის, მურმან ლებანიძის სანაპიროს, სააკაძის ქუჩისა და სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა 55,7 ათ. ლარი; სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოებზე 53,1

ათ. ლარი; სოფელ ხირხონისში, ქორთაში, სხიერში, სევაში, შარდომეთში, ახალ ჩორდში და საკაოში წყლის სისტემის რეაბილიტაცია 45,1 ათ.ლარი; სოფელ სევაში, ჭიბრევში, ფარახეთში, შარდომეთში, უწერაში (ჟამიერეთის უბანში), ფარავნეში, შეუბანში, სამთისში, სორგითში და ღუნდაში შიდა საუბნო და მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები 187,5 ათ. ლარი; სოფ. სორგითში წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის და დამცავი კედლის - მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები 25.4 ათ.ლარი; სოფელ ჟაშქვაში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის დამხმარე შენობის შეკეთების სამუშაოები 11,9 ათ. ლარი; ქ. ონში არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია (II ეტაპი) წილობრივი დაფინანსება 7,0 ათ. ლარი; ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა (II ეტაპი) წილობრივი დაფინანსება 58,3 ათ. ლარი; სოფელ გლოლაში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი დაფინანსება 6,9 ათ.ლარი; სოფელ უწერაში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი დაფინანსება 11,5 ათ. ლარი; სოფელ პიპილეთში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი დაფინანსება 8,5 ათ. ლარი; სოფელ სორის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი დაფინანსება 4,7 ათ. ლარი და სოფელ ქვემო ბარში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია 3,5 ათ. ლარი; სოფელ ბარი-მრავალძალის (ეკლესიამდე მისასვლელი) გზის ასფალტირებს (VI ეტაპი) 49,3 ათ. ლარი; დასუფთავება და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე 263,0 ათ. ლარი; თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდით სამუშაოზე 39,0 ათ. ლარი; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოზე გახარჯულია 35,7 ათ. ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წილობრივი დაფინანსება ქ. ონში ამხანაგობა "კახაბერ 7"-ის საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაიხარჯა 8,5 ათ. ლარი; გარე განათების მოწყობა სოფელ ფარავნეში, ნაკიეთში, შეუბანში, კომანდელში, ჭალაში, წოლაში, ხურუთში, სორგითში, კვაშხიეთში, სევაში, ჭიბრევში 20,0 ათ. ლარი; გარე განათების ტექნიკური მომსახურებაზე 30,8 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურებაზე 10,0 ათ. ლარი; ქ. ონში არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის, ხე-ბუჩქოვანი მცენარეების შემენა-დარგვისა და თანმდევი მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვა 38,5 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წმენდა 13,6 ათ. ლარი; ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოებზე 249,6 ათ. ლარი; საინჟინრო საზედამხედველო მომსახურებაზე გაიცა 170,1 ათ. ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანამონაწილეობით გაიხარჯა 94,7 ათ. ლარი.

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა 127 944 ლარი, კერძოდ: 1 574 ლარი ქ. ონში აღმაშენებლის ქ. N40-ში მდებარე (მუნიციპალიტეტის მერია) შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის; ახალი კორონავირუსის (COVID-19) 3 250 ლარი ქ. ონში აღმაშენებლის ქ. N40-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის და აღმაშენებლის მოედანი N6-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისათვის; ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ოპერატიულად რეაგირებისათვის სოფელ უწერის საველე ჰოსპიტალის შენობის მოწყობისათვის 1 498 ლარი; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდის სამუშაოებისათვის 3 961 ლარი; ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფისათვის ონის მუნიციპალიტეტში მოწყვლადი ჯგუფებისათვის სურსათისა და სადეზინფექციო საშუალებების შემენაზე 4 995 ლარი; ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფისათვის ქ. ონის ცენტრალური ქუჩებისა და მოედნების სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება 2 500 ლარი; 100 ლიტრი დიზელის შესაძენად გაიხარჯა 223 ლარი; ქ. ონში ყოფილი სავადმყოფოს შენობაში მდებარე ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დამხმარე ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოები 5 214 ლარი; ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების დაზარალებული მოსახლეობისათვის ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით გაიცა 200 ლარი და 9 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ორი მონაწილესათვის სასურსათო კალათის შემენა 100 ლარი; სოფელ ღებში (შიუკაჭალა-გორიბოლო) მომხდარი სტიქიის შედეგად (ძლიერი წვიმა) დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა 9 848 ლარი; მიმდინარე წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული გარე სამყაროს მოწყვეტილი მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის პირველადი მოხმარების საგნებისა და სასურსათო პროდუქტის შესაძენად 27 219 ლარი, საწვავის შესაძენად გაიხარჯა 4 987 ლარი და მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის მედიკამენტების შესყიდვაზე გაიხარჯა 7 595 ლარი; მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილების და ტექნიკური

მომსახურების შესყიდვაზე გაიხარჯა 4 986 ლარი; სტიქიის შედეგად დატბორილი და დაზიანებული ინფრასტრუქტურის წმენდა და შეკეთების სამუშაოებზე გაიხარჯა 49 534 ლარი; 4 ცალი დეზობარიერის და ხელის სადეზინფექციო სითხის შეძენა 260 ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.10.2020წ.) ნაშთი შეადგენდა 667,3 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 419,0 ათ. ლარი და საკუთარი შემოსულობებიდან 248,3 ათ. ლარს.

შემსრულებელი: /ცისანა გოგლიძე/

/თინათინ ბროლაშვილი/